საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-262

ქ. თბილისი

05/03/2021

აბაშის მუნიციპალიტეტში შპს ,,ფორეჯი I"-ის თევზის მოშენების მიზნით წყლის შესაკავებელი ნაგებობის (რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 m^3-ზე მეტია) ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 21-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს აბაშის მუნიციპალიტეტში შპს ,,ფორეჯი I"-ის თევზის მოშენების მიზნით წყლის შესაკავებელი ნაგებობის (რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 m^3-ზე მეტია) ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N12 (01.03.2021წ.);
2. შპს ,,ფორეჯი I"-მა სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N12 (01.03.2021წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ფორეჯი I"-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ფორეჯი I"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და აბაშის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი